ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10062/01
11/10/2019

10062-01-2-201910111714

შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას"

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 21

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ივლისის №10780 სკრინინგის განცხადება და ამავე საკითხზე 27 აგვისტოს №12338 წერილით წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში მდებარე ცემენტის ქარხნის (ეკოლოგიური ექსპერტიზა N32 10.05.17 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება #N2-654 09/08/2018) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

როგორც აღნიშნული განცხადებებიდან ირკვევა, დაგეგმილი ცვლილება ითვალისწინებს ძირითად საწვავთან ერთად, კასპის ცემენტის ქარხანაში წარმოქმნილი გამომუშავებული ზეთების, ზეთით დაბინძურებული ქსოვილების, ქაღალდის ტომრების, ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალის ნარჩენების, პლასტმასის და პოლიეთილენის ნარჩენების გამოყენებას ალტერნატიულ საწვავად.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიერ 2019 წლის 15 ივლისს წარმოდგენილია სკოპინგის განცხადება (№10193), რომელიც აგრეთვე ეხება ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში მდებარე ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს. წარმოდგენილ სკოპინგის განცხადებაში დაგეგმილი ცვლილება უკავშირდება იმავე ცემენტის ქარხანაში (კასპში) ალტერნატიულ საწვავად საბურავების, გამომუშავებული ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენებას. ალტერნატიული საწვავის გამოყენება დაგეგმილია იმავე ღუმელში, რომელიც განხილულია შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" ზემოაღნიშნულ სკრინინგის განცხადებაში.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამინისტროში კასპის ცემენტის ქარხანაში ექსპუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ორი განაცხადი (სკრინინგი და სკოპინგი) რომელიც ეხება ერთსა და იმავე **საკითხს, სამინისტრო შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიერ, წარმოდგენილ** სკრინინგის განცხადებაზე წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას, ხოლო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებული

ადმინისტრაციული წარმოების შედეგები გეცნობებათ შესაბამისი პროცედურის დასრულებისთანავე.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე